პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. შეფასების დროს კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტებები	შეფასება კრიტერიუმის მიხედვით
1. პროექტის იდეა • პროექტის იდეის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; • ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, ხელმისაწვდომობის ან/და ინტერპრეტაციის ხელშეწყობა; • პროექტის ისტორიული, კულტურული ან სამეცნიერო მნიშვნელობა; • პროექტის ინტერდისციპლინურობა ან/და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენება	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
2. პროექტის წარმდგენი მკვლევარის/მკვლევართა ჯგუფის კვალიფიკაცია • პროექტის წარმდგენი პირ(ებ)ის შესაბამისი აკადემიური და პროფესიული კომპეტენციები; • კვლევითი გამოცდილება და პროდუქტიულობა; • პროექტის მიზნების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობების განაწილება კომპეტენციების გათვალისწინებით.	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
3. პროექტის განხორციელებადობა • პროექტის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან • პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკისა და პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტით დასახული მიზნების განხორციელებისათვის;	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
4. პროექტის მოსალოდნელი შედეგები და გავლენა • მოსალოდნელი სამეცნიერო, კულტურულ ან/და ტექნიკური შედეგები (მაგ., პუბლიკაცია, ციფრული რესურსები, კატალოგები, გამოცემა და სხვა) • ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით კვლევის წინსვლაში, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა ან/და არქივის მასალების ხელმისაწვდომობის ზრდაში შეტანილი წვლილი; • კვლევის შედეგების პოპულარიზაციის მკაფიო და რეალისტური გეგმა, ღია წვდომის პრინციპების გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია).	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
ჯამური ქულა	მინიმუმ 4 მაქსიმუმ 20 ქულა

2. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით (1-5), ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 20 ქულა. კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება	განმარტება
5	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

4	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
3	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
2	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია, აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები.
1	სუსტი	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს კრიტერიუმს, შეინიშნება არსებითი სუსტი მხარეები, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.

3. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 12 ან მეტი ქულა.
4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.